შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოს მთავრობას, შპს „რუსთავი ჯგუფს“ და შპს „რუსმეტალს“ შორის 2015 წლის 3 თებერვალს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი 30 ივნისი, 2016 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომ „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მიერ და

მეორე მხრივ, შპს „რუსთავი ჯგუფი“ საიდენტიფიკაციო კოდი: 416291220 (შემდგომ „კომპანია“), წარმოდგენილი დირექტორის, დავით მინდელის მიერ

შემდგომ, მთავრობა და კომპანია ერთობლივად იწოდებიან როგორც ,,მხარეები“ და ცალ-ცალკე როგორც „მხარე“

წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. შეიცვალოს მემორანდუმის დანართი N2 და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული დანართის N1 სახით.
2. მემორანდუმის სხვა მუხლები და დებულებები დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.
4. ამ შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

______________________

კახა კალაძე

შპს „რუსთავი ჯგუფი“

______________________

დავით მინდელი

# შეთანხმების დანართი N1

| | |
|---|---|
| მშენებლობის განახლების თარიღი | 01.09.2016 |
| ექსპლუატაციაში მიღების თარიღი | 30.09.2018 |

## დანართი N2

| შედარების თარიღები | 01.09.2016 | 01.10.2016 | 01.04.2017 | 01.10.2017 | 01.04.2018 | 31.08.2018 | 01.09.2018-30.09.2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შესასრულებელი სამუშაოები | | | | | | | |
| გვირაბის გაყვანა | | 150 მ | 1050 მ | 568 მ | 637 მ | 0 | საცდელი პერიოდი |
| გვირაბის ბეტონირება | | 150 მ | 650 მ | 1050 მ | 1200 მ | 1112 | საცდელი პერიოდი |
| სათავე კვანძის ნაგებობის მშენებლობა | | | | მიწის სამუშაოების დასრულება და ბეტონის 50%-ის ჩასხმა | სათავე კვანძის ნაგებობის დასრულება | | საცდელი პერიოდი |
| ჰესის შენობის მშენებლობა | მისასვლელი გზების მშენებლობის დაწყება | მისასვლელი გზების მშენებლობა | მისასვლელი გზების მშენებლობის დასრულება ჰესის შენობის მშენებლობის დაწყება | მიწის სამუშაოების დასრულება და ფუნდამენტის ჩასხმა | ჰესის შენობის და გამყვანი არხის მშენებლობის გაგრძელება | ჰესის შენობის მშენებლობის დასრულება | საცდელი პერიოდი |
| ტურბინა გენერატორები | | ტურბინა-გენერატორებზე შეკვეთის გახსნა | ტურბინა-გენერატორების დამზადება | ტურბინა-გენერატორების დამზადება | ტურბინა-გენერატორების ადგილზე ჩამოტანა | ტურბინა-გენერატორების მონტაჟის დასრულება | საცდელი პერიოდი |
| 110 კვტ გადამცემი ხაზის მშენებლობა (18 კმ) | პროექტირების დაწყება | პროექტირება | პროექტირების დასრულება | ტრასის 6 კმ მონაკვეთის გასუფთავების, გზების გაყვანის, ანძების მონტაჟის დასრულება | ტრასის 6 კმ მონაკვეთის გასუფთავების, გზების გაყვანის, ანძების მონტაჟის დასრულება | მშენებლობის დასრულება | საცდელი პერიოდი |

# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№1110 2016 წლის 13 ივნისი ქ. თბილისი

**საქართველოს მთავრობას, შპს „რუსმეტალსა“ და შპს „რუსთავი ჯგუფს“ შორის 2015 წლის 3 თებერვალს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე**

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და შპს „რუსთავი ჯგუფს“ შორის დასადები შეთანხმება.
2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
# MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010123771245716

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა, ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№2674 21 / აპრილი / 2016 წ.

2499

საქართველოს ენერგეტიკის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2016 წლის 18 აპრილის №04/1481 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, შპს „რუსთავი ჯგუფს" და შპს „რუსმეტალს" შორის 2015 წლის 3 თებერვალს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 2015 წლის 3 თებერვლის ურთიერთგაგების მემორანდუმის დანართ №2-ში განსაზღვრული ვადების დარღვევისთვის საქართველოს მთავრობის მიერ მემორანდუმის მე-6 და 8.1 მუხლების შესაბამისად კომპანიის მიმართ სანქციების გამოუყენებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე მიხეილ სარჯველაძე

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

# ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16008946, 25/01/2016 11:40:10

## სუბიექტი

| | |
|---|---|
| **საფირმო სახელწოდება:** | შპს რუსთავი ჯგუფი |
| **სამართლებრივი ფორმა:** | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| **საიდენტიფიკაციო ნომერი:** | 416291220 |
| **რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:** | 31/12/2010 |
| **მარეგისტრირებელი ორგანო:** | სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო |
| **იურიდიული მისამართი:** | საქართველო, რუსთავი , მარის არხი,N174 |
| **დამატებითი ინფორმაცია:** | |
| ელ. ფოსტა: | dmindeli@yahoo.com |

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

## ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

## ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01030004827, დავით მინდელი

## პარტნიორები

| მესაკუთრე | წილი | წილის მმართველი |
|---|---|---|
| 216406306, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება რუსმეტალი | 100.0000000% | |

## ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

**გირავნობა**

რეგისტრირებული არ არის

---

**ყადაღა/აკრძალვა**

რეგისტრირებული არ არის

**საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება**

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R13002991 01/11/2013 14:28:03**
  **კრედიტორი : სს თიბისი ბანკი (საქართველო) 204854595**
  **მესაკუთრე : შპს 'რუსმეტალი' (საქართველო) 216406306**
  საგანი: **არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : მთელი არსებული და სამომავლო არამატერიალური ქონებრივი სიკეთე (იხილეთ სარეგისტრაციო დოკუმენტი).არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : მთელი არსებული და სამომავლო მოძრავი ქონება (იხილეთ სარეგისტრაციო დოკუმენტი).**
  საფუძველი: **გირავნობის ხელშეკრულება, 123123276404, ნოტარიუსი მედეა გვაზავა, 131147524, 31.10.2013**
- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R15050759 21/10/2015 18:14:27**
  **კრედიტორი : სს თიბისი ბანკი (საქართველო) 204854595**
  **მესაკუთრე : შპს 'რუსმეტალი' (საქართველო) 216406306**
  საგანი: **არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : შპს „რუსმეტალი"-ს (ს/ნ 216406306) 100% წილი შპს „რუსთავი ჯგუფი"-ს (ს/ნ 416291220) კაპიტალში**
  საფუძველი: **გირავნობის ხელშეკრულება, 123123800585, ნოტარიუსი მედეა გვაზავა, 151157098, 20.10.2015**

**მოვალეთა რეესტრი**

რეგისტრირებული არ არის

---

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;

- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge